## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-398

08/05/2020 ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, შპს „სი-ფი-აი ჯორჯიას“ ჟანგბადის და აზოტის ($^{18}O$, $^{17}O$, $^{15}N$) იზოტოპების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-8 პუნქტის 8.2 ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „სი-ფი-აი ჯორჯიას“ ჟანგბადის და აზოტის ($^{18}O$, $^{17}O$, $^{15}N$) იზოტოპების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა №40 (07.05.2020);
2. შპს „სი-ფი-აი ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №40 (07.05.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სი-ფი-აი ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სი-ფი-აი ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ვაკის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი